მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

შპს „ჰარი“-ს მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს პროექტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე

21 აპრილი, 2014 წ.

წარმოგიდგენთ შენიშვნებსა და კომენტარებს შპს „ჰარი“-ს მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს პროექტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე:

1. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარდგენილი გზშ ანგარიში მეტად დაბალი ხარისხისაა. არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი უკიდურესად ზედაპირულადაა წარმოდგენილი. დოკუმენტში საერთოდ არ არის წარმოდგენილი პროექტის მიზანშეწონილობის დასაბუთება. ასევე, არ არის განხილული პროექტის საჭიროება; თუ რა მიზანს ემსახურება პროექტი და რა კონკრეტულ სარგებელს მოუტანს აღნიშნული საწარმოს ფუნქციონირება რეგიონს და ზოგადად, ქვეყანას. გზშ ანგარიშში რამოდენიმე წინადადებით მოცემული, მხოლოდ ამ სახის ინფორმაცია, რომ *„მოხდება ადამიანების დასაქმება და ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახადების გადახდა“* არასაკმარისია.

2. გზშ ანგარიშის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორიცაა ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, ფაქტიურად, არ არის წარმოდეგნილი. აღნიშნული საკითხი, სულ რაღაც, გვერდნახევარზეა წარმოდგენილი - 3.1 ქვეთავში „დაგეგმილი საქმიანობის, ტექნოლოგიის და განთავსების ალტერნატივების განსაზღვრა“, სადაც ძირითადად წარმოდგენილია ალტერნატივების ანალიზის მხოლოდ თეორიული მიმოხილვა. ანგარიშში საერთოდ არ არის განხილული ადგილმდებარეობის ალტერნატივები. დოკუმენტში ნათქვამია, რომ *„საქმიანობის ადგილის შერჩევა განხორციელდა ორ დონეზე: ქვეყნის მასშტაბით, მუნიციპალიტეტებს შორის, შერჩეულის მუნიციპალიტეტის საზღვრებს შიგნით“.* თუმცა, არ არის განხილული რომელი ალტერნატივების განხილვა მოხდა და რატომ მიენიჭა პრივილეგია არსებულ ალტერნატივას. აღნიშნული საკითხის გაგრძელებას ვხვდებით 3.5.3.1 ქვეთავში სადაც ნათქვამია, რომ *„ინვესტორმა ტერიტორია შეიძინა სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის და ამ ეტაპზე ალტერნატივების განხილვა არ მომხდარა“.* რაც ადგილმდებარეობის ალტერნატივის განუხილველობას ვერაფრით ვერ ამართლებს.

ნულოვანი ალტერნატივა, არ არის განხილული. საკითხისთვის დათმობილი ქვეთავი ორი წინადადებით არის წარმოდგენილი და ნათქვამია, რომ *„ე.წ ნულოვანი ვარიანტის განხილვით ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის ბუნებრივ გარემოზე, მაგრამ უარყოფითად აისახება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე. რადგან საწარმოს პროექტირების... პროცესში აუცილებლად მოხდება ადამიანების დასაქმება და ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახადების გადახდა“.*

3. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გზშ ანგარიშში მხოლოდ თეორიულადაა განხილული არაერთი ქვეთავი როგორიცაა, „ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი და შერჩევა“, „გეოლოგიური პირობები“, „ფლორა და ფაუნა“, „ხმაურის გავრცელება“, „სეისმური პირობები“ და ა.შ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია სულ რამოდენიმე წინადადებას მოიცავს. დოკუმენტში ნათქვამია, რომ *„სამშენებლო ნორმებისა და წესების „სეისმომედეგი მშენებლობა“.. მიხედვით ტერტორია (ქ. ჭიათურა) მდებარეობს 8 ბალიან სეისმურ ზონაში, რომლის სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A შეადგენს 0,21-ს“*. ამასთან, გზშ ანგარიშში არაფერია ნათქვამი რამდენი ბალი იქნა მიღებული საპროექტო გადაწყვეტად და რა გავლენას მოახდენს, განმახორციელებლის მიერ მიღებული სეისმუროზა საპროექტო გადაწყვეტაზე.

4. რაც შეეხება 3.5.2.9 ქვეთავი ფლორასა და ფაუნას გზშ დოკუმენტის მოცემული ნაწილი ფორმალურად არის წამოდგენილი. ის, სულ რამოდენიმე წინადადებას მოიცავს. აქ წარმოდგენილი სახეობები მოცემულია მხოლოდ, ქართული სახელწოდებით, ლათინური სახელწოდებების გარეშე. აღნიშნულ საკითხს აგრეთვე ვხვდებით გვ. 39-ზე ბიომრავალფეროვნება რომელიც ასევე ზედაპირულადაა მომზადებული და იგივე ინფორმაციას მოიცავს რასაც, 3.5.2.9 ქვეთავი. დოკუმენტში საერთოდ არ არის წარმოდგენილი წითელი ნუსხისა და ენდემური სახეობები, შესაბამისად არ არის დადგნილი ზემოქმედება და სათანადო შემარბილებელი ღონისძიებები. ამასთან, მეტად ზედაპირულადაა წარმოდგენილი რგანის ღელეს ბიომრავალფეროვნება, რომელიც, ასევე სავარაუდოდ, მხოლოდ ლიტერატურულ წყაროზე დაყრდნობითაა მომზადებული და არანაირ საველე კვლევის მონაცემებს არ მოიცავს.

5. ზედაპირულადაა წარმოდგენილი 4.2.1.4 ქვეთავში „ხმაურის გავრცელება“. როგორც დასაწყისში ავღნიშნეთ, იგი მხოლოდ თეორიულად არის განხილული. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ *„ტექნოლოგიური დანადგარების მოწყობა გათვალისწინებულია დახურულ შენობაში და <u>500მ-იან რადიუსში</u> არ მდებარეობს პარკები და დასასვენებელი ოთახები“*... თუმცა, თუკი გავითვალისწინებით იმ ფაქტს, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი, საპროექტო ტერიტორიიდან, მხოლოდ <u>240 მეტრით,</u> ვერტიკალურ ჭრილში კი <u>65 მეტრით</u> არის დაშორებული, ზემოთაღნიშნული წინადადება, რეალობასთან შეუსაბამოა. ქვეთავის დასასრულს, კი ნათქვამია, რომ *„შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმოს ფუნქციონირების პროცესში გამოწვეული ხმაურის დონე უახლოესი საცხოვრებელი სახლის საზღვრთან იქნება ნორმატიული დოკუმენტით მოთხოვნილ მნიშვნელობებზე გაცილებით დაბალი“.* თუმცა, რაზე დაყრდნობით არის ნათქვამი აღნიშნული სრულიად გაურკვეველია. ამასთან დაკავშირებით დოკუმენტში არანაირი სახის მონაცემი არ არის წარმოდგენილი.

6. გზშ ანგარიშის 4.1 ქვეთავში ნათქვამია, რომ *„ხეობაში სამშენებლო მოედნიდან 3-4 კმ-ში საცხოვრებელი სახლები არ მდებარეობს და მიმდებარედ არ ხდება ადამიანების გადაადგილება“*. მაშინ როდესაც დოკუმენტის დასაწყისში ნათქვამია, რომ *„უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს რგანის ზეგანზე და გეგმაში დაშორება 240 მ-ია“* (გვ. 31). სრულიად გაურკვეველია რის საფუძველზე დაყრდნობით, საუბრობს გზშ ავტორი, რომ 3-4 კილომეტრის რადიუსში დასახლებული არეალები არ მდებარეობს. მსგავსი სახის ურთიერთშეუსაბამო წინადადებებსა, თუ მონაცემებს არაერთხელ ვხვდებით გზშ ანგარის სხვადასხვა ნაწილში. (აღნიშნულ შენიშვნასთან დაკავშირებით მივიღეთ პასუხი პროექტის განმახორციელებლებისაგან, რომელიც გაუგებარია, შესაბამისად ეს შენიშვნა კვლავაც აქტუალურია).

7. რაც შეეხება დასაქმებას და მასთან დაკავშირებულ ზემოქმედებას, აღნიშნულ საკითხს ვხვდებით 4.2.6 ქვეთავში. სადაც მოცემულია, რომ *„საწარმოში დასაქმებულთა რიცხვი დიდი არ არის (დასაქმებულია 15-მდე ადამიანი)“*. ეს ანგარიშიდან არ არის ნათელი იღებს, თუ არა კომპანია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ვალდებულებას და თუ იღებს, რამდენი იქნება ადგილობრივთა წილი დასაქმებულთა შორის.

8. გზშ ანგარიშში საერთოდ არ არის განხილული და წარმოდგენილი კუმულაციური ზემოქმედება. გათვალისწინებით იმისა, რომ რეგიონში სხვა მსგავსი ტიპის საწარმოები უკვე განთავსებულია და ასევე, დაგეგმილია კიდევ რამოდენიმე მცირე გამამდიდრებელი საწარმოს მშენებლობა, მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი აუცილებლად უნდა იყოს გზშ ანგარიშში წარმოდგენილი. ამავდროულად, ყურადსაღებია, რომ გზშ-ს ავტორი თავად მიუთითებს, რომ რგანის ხეობაში ამჟამად უკვე განთავსებულია ორი მცირე გამამდიდრებელი საწარმო.

9. დოკუმენტის ერთ-ერთ უსუსტეს ნაწილს წარმოადგენს შემარბილებელი ღონისძიებები, რომელიც ცხრილის სახით ერთ გვერდზეა წარმოდგენილი. „გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შერბილების ღონისძიებათა გეგმის“ სათაურის ქვეშ წარმოდგენილ ინფორმაციას არაფერი აქვს საერთო სათაურთან (გვ 98).

10. რაც შეეხება საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გეგმას, მსგავსი არაფერია დოკუმენტში წარმოდგენილი. მე-9 ქვეთავში, მოცემულია მხოლოდ ზედაპირული და თეორიული მიმოხილვა ამ საკითხისა და ნათქვამია, რომ „*ობიექტის ფუნქციონირების ხანგრძლივი შეწყვეტის ან კონსერვაციის შემთხვევაში, საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია შექმნას სალიკვიდაციო ჯგუფი, რომელიც დაამუშავებს ექსპლუატაციის ხანგრძლივი შეწყვეტის ან კონსერვაციის გეგმას*“.